
ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმატებული საქმეები
(ივლისი - ოქტომბერი, 2020 წელი)

სტრასბურგის სასამართლომ სახელმწიფოს მოსარჩელის სასარგებლოდ 10 000 ევროს გადახდა დააკისრა

2020 წლის 22 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, დასრულდა საქმის - „ბოხოვკო საქართველოს წინააღმდეგ“ განხილვა. განმცხადებლის ინტერესებს სტრასბურგის სასამართლოში ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავდა. სასამართლომ საქმეზე კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) პროცედურული ნაწილისა და მე-6(1) მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევა დაადგინა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფოს მოსარჩელის სასარგებლოდ 10 000 ევროს გადახდა დაეკისრა.

საქმე ეხებოდა 2009 წელს მომხდარ ფაქტს, როდესაც უკრაინის მოქალაქე ო. ბოხოვკოს დაკავებისა და ნივთმტკიცების მოპოვების დროს სამართალდამცავებმა უხეშად დაარღვიეს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ნორმებით აღიარებული ადამიანის უფლებები. მათ მოწმეებისა და ექსპერტის დასწრების გარეშე, ფიზიკური ძალის გამოყენებით, ღირსების შემლახავი და დამამცირებელი მეთოდით გაჩხრიკეს ო. ბოხოვკო.

ბოხოვკოს დაკავება და მის მიმართ განხორციელებული ღირსების შემლახავი საგამოძიებო ღონისძიებები თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ერთ-ერთ შენობაში განხორციელდა. ჩხრეკის შედეგად, პოლიციელებმა, მათივე მტკიცებით, ამოიღეს, პოლიეთილენის პარკში შეფუთული ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი.“

მურად წურწუმის საქმეში ბრალდებულებს 10 და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ

29 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა მურად წურწუმის საქმის განხილვა. სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ბრალდებულები დამნაშავედ ცნო მათთვის

წაყენებულ ყველა ბრალდებაში და შესაბამისად, ზ.ფ.-ს - 10, ხოლო ვ.ბ.-ს - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მათ ბრალი წარდგენილი ჰქონდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-6 ნაწილით, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა; ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე, ძალადობის მუხლით და 143-ე მუხლის მეორე ნაწილის გ და მესამე ნაწილის ა პუნქტებით, რაც, შესაბამისად, გულისხმობს თავისუფლების აღკვეთას სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარ შეთანხმებით, ჯგუფის მიერ.

2020 წლის 2 იანვარს თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ე.წ. „დამპალოს სასაფლაოს“ ტერიტორიაზე, ავტომობილის გამო დაწყებული კონფლიქტის შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა ზ.ფ.-მ და მისმა თანმხლებმა პირმა, ვ.ბ.-მ 24 წლის მურად წურწუმიას სიკვდილამდე სცემეს. ბრალდებულებმა, ასევე, სცემეს მოკლულის ძმა, მუხრან ჩხვირკია, რომელმაც ადგილიდან გაქცევა შეძლო.

6 იანვარს მურად წურწუმის გარდაცვალების საქმეზე პროკურატურამ დაზარალებულის უფლებამონაცვლედ გარდაცვლილის დედა, და ასევე დაზარალებულად მუხრან ჩხვირკია ცნო. მურად წურწუმის ოჯახის სამართლებრივი ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავდა. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული ვ.ბ. ორჯერ გამოკითხეს, მას არ აკავებდნენ და ხელწერილით იყო გათავისუფლებული. 8 იანვარს, ადამიანის უფლებათა ცენტრისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოთხოვნის შედეგად ვ.ბ.-ც დააკავეს.

არასრულწლოვანი გოგონას გატაცებაში ბრალდებულებს პატიმრობა მიესაჯათ

6 აგვისტოს სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ დაასრულა 2020 წლის 5 თებერვალს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გატაცებული არასრულწლოვანი გოგონას საქმის განხილვა და განაჩენი გამოაცხადა. დაზარალებული არასრულწლოვნის ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი, ლია ხუროშვილი იცავდა.

საქმეში სამი ბრალდებული ფიგურირებს. ბრალდებულ რ.ქ.-ს მიესაჯა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რაც გულისხმობს თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ. ბრალდებულ ვ.ქ.-ს 7-წლიანი თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, რაც

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და დარჩა ხუთი წელი და სამი თვე. მასვე სსკ-ის კიდევ ერთი მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. ეს სასჯელი მას ერთი მეოთხედით შეუმცირდა და საბოლოოდ ორივე მუხლით განსაზღვრული დანაშაულისათვის შვიდი წელი და ექვსი თვე მიესაჯა. ვ.მ.-ს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა შვიდი წლით 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „დ“ პუნქტებით, რაც შეუმცირდა ერთი მეოთხედით და დარჩა 4 წელი და რვა თვე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლის საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე სოფლიდან 5 თებერვალს, სავარაუდოდ, ცოლად მოყვანის მიზნით ჯგუფურად მოიტაცეს.

გორის რაიონულმა სასამართლომ 7 მოქალაქეს 3000-ლარიანი ჯარიმა გაუქმა

2 ივლისს გამართულ სასამართლო სხდომაზე გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ დააკმაყოფილა ადამიანის უფლებათა ცენტრის ადმინისტრაციული საჩივარი, რომლის თანახმად, 7 მოქალაქისთვის დაკისრებული 3000-ლარიანი ჯარიმა, ჯამში - 21 000 ლარი, გააუქმა.

2020 წლის 21 აპრილს ადამიანის უფლებათა ცენტრის შიდა ქართლის ოფისს მიმართეს გორში მცხოვრებმა მოქალაქეებმა: თ.მ.-მ, ი.ხ.-მ, ხ.ს.-მ, ე.ფ.-მ, თ.ა.-მ, უ.ს.-მ და მ.ფ.-მ. მათი განცხადებით, მიმდინარე წლის 17 აპრილს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ისინი პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ დადგენილი დისტანციის დაუცველობის გამო დააჯარიმეს. მოქალაქეები ჯარიმას მიიჩნევენ უკანონოდ, ამტკიცებდნენ, რომ ერთად განზრახ არ შეკრებილან და მათ შორის დისტანცია იყო დაცული. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მიიჩნიეს, რომ ისინი ერთად იმყოფებოდნენ და შვიდი 3000-ლარიანი საჯარიმო ქვითარი გამოწერეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა გორის რაიონულ სასამართლოს მიმართა და შსს-ის შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტში გამოწერილი საჯარიმო ქვითრების გაუქმება მოითხოვა. გორის რაიონულმა სასამართლომ HRC-ის ადმინისტრაციული საჩივარი სრულად დააკმაყოფილა.

გორის რაიონულმა სასამართლომ გ.ა.-ს მიმართ შეფარდებული სახდელი - 200 ლარი გააუქმა